



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 183

2015 წლის 09 დეკემბერი

ქ. თბილისი

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის
უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი
კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტების
დამტკიცების შესახებ

„სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის
უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი
პროგრამის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 26 ნოემბრის N156/ნ ბრძანებით
დამტკიცებული დებულების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა
და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7
მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების
ადმინისტრირების, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნინო
გაჩეჩილაძის სამსახურებრივი ბარათის (N1284614, 09.12.2015წ.) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და
ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“
ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული
პროექტები:
 - ა) Georgian Strategies of Nationhood: “Bivocal” identities and the Paradigm of the “Post” -
პროექტის ავტორი ნინო ბათიაშვილი;
 - ბ) Late Antique and Medieval Narrative Sources of the Christian Caucasus (Construction of
Ethno-Historical Identities and Cultural Memory) - პროექტის ავტორი ირმა
ყარაულაშვილი.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში -
ფონდი) იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს ამ

ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2015 წლის 21 დეკემბრისა;

3. საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა პირებმა არაუგვიანეს 2015 წლის 15 დეკემბრისა ფონდში წარმოადგინონ პირადი მიზნობრივი ანგარიშის ნომერი გაცემული ბანკის მიერ.
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).



მანანა მიქაბერიძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი